თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 4 ნოემბრის სხდომის

ოქმი № 10

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021 წლის 4 ნოემბერს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმა zoom-ის საშუალებით

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 40 წევრი

სხდომას ესწრებოდა 28 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. საფაკულტეტო სამეცნიერო მინიმალური სტანდარტის შესახებ
   /დეკანის მოადგილე, სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/
2. ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის და ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის შესახებ
   /თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ლევან საბაური/
3. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ლევან საბაურმა და ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა მოითხოვეს დღის წესრიგში მიმდინარე საკითხების სახით საბჭოს დღის წესრიგში ცვლილების შეტანა და საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინეს შემდეგი საკითხები:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული

სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 4 ნოემბრის №10 სხდომის დღის წესრიგი ცვლილებების გათვალისწინებით:

1. საფაკულტეტო სამეცნიერო მინიმალური სტანდარტის შესახებ

/დეკანის მოადგილე, სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

2. ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის და ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის შესახებ

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ლევან საბაური/

3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

4. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

მოისმინეს: საფაკულტეტო სამეცნიერო მინიმალური სტანდარტის შესახებ

/დეკანის მოადგილე, სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საფაკულტეტო სამეცნიერო მინიმალური სტანდარტი. ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, საფაკულტეტო სამეცნიერო მინიმალური სტანდარტი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის შესახებ

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ლევან საბაური/

პროფესორმა ლევან საბაურმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის ცვლილებები. საბჭოს წევრებს განსახორციელებელი ცვლილებები წინასწარ დაეგზავნათ დასაცნობად.

1. შეიცვალა პროფესორის ლევან საბაურის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. შემადგენლობიდან ამოღებულ იქნა პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
3. შეიცვალა ასოცირებული პროფესორის ნინო ფარესაშვილის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ასოცირებული პროფესორი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი
4. შეიცვალა ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში
5. შემადგენლობას დაემატა ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია შემდეგი სტატუსით: ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

6. შეიცვალა მაგისტრანტის შოთა გაბადაძის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: დოქტორანტი
7. შეიცვალა ასოცირებული პროფესორის, ია ნაცვლიშვილის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ასოცირებული პროფესორი, თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: ეკონომიკის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის შესახებ

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ლევან საბაური/

პროფესორმა ლევან საბაურმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის ცვლილებები. ინფორმაცია კომიტეტის შემადგენლობის ცვლილებების შესახებ საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად.

1. შეიცვალა პროფესორის ეთერ ხარაიშვილის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
2. შემადგენლობას დაემატა პროფესორი ლევან საბაური, შემდეგი სტატუსით: პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. შეიცვალა ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში

4. შემადგენლობას დაემატა ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია შემდეგი სტატუსით: ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
5. შეიცვალა ასოცირებული პროფესორის, ია ნაცვლიშვილის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ასოცირებული პროფესორი, თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.
გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის შესახებ
/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ლევან საბაური/

პროფესორმა ლევან საბაურმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის ცვლილებები. ინფორმაცია კომიტეტის შემადგენლობის ცვლილების შესახებ საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად.

1. შემადგენლობიდან ამოღებულ იქნა პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
2. შეიცვალა პროფესორის ლევან საბაურის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. შეიცვალა ასოცირებული პროფესორის მერაბ ხოხობაიას სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

4. შეიცვალა ასოცირებული პროფესორის, ია ნაცვლიშვილის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ასოცირებული პროფესორი, თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5. შეიცვალა ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის სტატუსი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

დეკანის მოადგილემ ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა, ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№20790/10, 11.10.2021) მოითხოვა ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებასთან და მის სახელზე დიპლომის დანართის მომზადება. საქმის შესწავლისას აუცილებელი გახდა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად ვახტანგ ქორიძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავადებულო მონაცემების შექმნა.

ვახტანგ ქორიძის სახელზე უნდა მომზადდეს ბაკალავრის ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ვახტანგ ქორიძე 2003 წლის მისაღები გამოცდების საუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ინფორმატიკა ბიზნესში (უცხოენოვანი სექტორი) სპეციალობაზე (ბრძანება №4/987, 15.09.2003).

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძისთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2358/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 21 სექტემბრის №2 გადაწყვეტილების შესაბამისად (თუმცა, აღნიშნულ ოქმში მისი გვარი არ ფიქსირდება) ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძეს მიენიჭა ბიზნესის

ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი (საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №27137/02, 12.11.2009).

2008-2009 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№000735 (სარეგისტრაციო №01/400320) რეგისტრირებულია ვახტანგ ქორიძის სახელზე.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა დამატებით მოიძია 2009 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები. კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №2);
- ეკონომიკის მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №3).

ვინაიდან, წარმოდგენილ ოქმების დანართებში არ იძებნება ვახტანგ ქორიძის გვარი, ამიტომ მიზანშეწონელია აღდგენილად ჩაითვალოს 2009 წლის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილაბაში არსებული ინფორმაცია. თსუ იურდიულ დეპერტამენტთან შეთანხმებით ამ გადაწყვეტილების თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის დამტკიცების შესახებ. კერძოდ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინფორმატიკა-ბიზნესში სპეციალობის 2007 წლის კურსდამთვებულ ვახტანგ ქორიძეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2009 წლის 27 ნოემბერი და ნომრად №2358/3.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დააგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძისთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2358/01-04 ბრძანებით ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძისთვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2009 წლის 27 ნოემბერი, ხოლო ოქმის ნომრად №2358/3.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

პროფესორმა ლევან საბაურმა საბჭოს წევრებს გააცნო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ირმა მშვენიერაძის წერილი (№22932/29, 02.11.2021), რომლითაც ის იტყობინება, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№20790/10, 11.10.2021), თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებასთან.

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ვახტანგ ქორიძე 2003 წლის მისაღები გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ინფორმატიკა ბიზნესში (უცხოენოვანი სექტორი) სპეციალობაზე (ბრძანება №4/987, 15.09.2003).

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძისთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2358/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 21 სექტემბრის №2 გადაწყვეტილების შესაბამისად (თუმცა, აღნიშნულ ოქმში მისი გვარი არ ფიქსირდება) ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი *(საფუძველი: ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №27137/02, 12.11.2009).*

2008-2009 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№000735 (სარეგისტრაციო №01/400320) რეგისტრირებულია ვახტანგ ქორიძის სახელზე.

საქმის შესწავლისას გაირკვა შემდეგი: „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2358/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის 21 სექტემბრის №2 გადაწყვეტილებით 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით. წარმოდგენილ ბრძანებაში ხვდებით შემდეგ უზუსტობებს, კერძოდ:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის (ოქმი №2) დღის წესრიგში განხილულია მხოლოდ 2009 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი (ამ ოქმით ხარისხი არ მინიჭებია 2007 წლის კურსდამთვრებლებს);
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების კურსდამთვრებულებს მიენიჭათ ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თუმცა, თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2358/01-04 ბრძანებით კურსდამთავრებულს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით;

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმში (№2) 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძის გვარი არ იძებნება.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ვახტანგ ქორიძისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია („ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის ბრძანება №2358/01-04, 27.11.2009) არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

პროფესორმა ლევან საბაურმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რათა „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად შეიცვალოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ვახტანგ ქორიძეს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

პროფესორმა ლევან საბაურმა საბჭოს წევრებს გაცნო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ირმა მშვენიერაძის წერილი (№22891/29, 02.11.2021) რომლითაც ის იტყობინება, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№20658/10, 8.10.2021), სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ **ნატალია ურდულაშვილის** დიპლომის ფორმისთის განსაზღვული სავალდებულო მონაცემების შექმნა და მისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ნატალია რობიზონის ასული ურდულაშვილი** 2000 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/796, 15.09.2000).

ნატალია რობიზონის ასული ურდულაშვილი 2001-2002 სასწავლო წლიდან ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დღის სწავლებიდან განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით გადაყვანილი იქნა ამავე ფაკულტეტის არასაბიუჯეტო (ფასიანი) განყოფილების დაუსწრებელი სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის II კურსზე (ბრძანება №4/1483, 31.12.2001). 2002 წელს კი ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის დღის სწავლებიდან გადაყვანილი იქნა ამავე ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დღის სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის III კურსზე (ბრძანება №4/1419, 22.10.2002).

ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთვრებულ ნატალია ურდულაშვილის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 15 ივლისის №4/834 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2004 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№12291 (სარეგისტრაციო №01/251) რეგისტრირებულია ნატალია ურდულაშვილის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია მხოლოდ ნატალია ურდულაშვილის სახელზე შევსებული ბაკალავრის დიპლომის დანართი, რომელზეც არ არის არც პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები და არც თსუ-ს ბეჭედი. დანართიდან დგინდება, რომ „ნატალია ურდულაშვილი, დაბადებული 30.03.1982 წ. 2000 წელს ჩაირიცხა თსუ „ფინანსები და საბანკო საქმე" ... 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე და მიენიჭა „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".

ნატალია ურდულაშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/834, 15.07.2004) მინიჭებულ ხარისხთან.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მინჯაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ფინანსები და საბანკო საქმის" სპეციალობის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნატალია ურდულაშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (B №12291, სარეგისტრაციო №01/251) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა" უნდა მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".

პროფესორმა ლ. საბაურმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით ნატალია ურდულაშვილისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის

კურსდამთავრებულ ნატალია ურდულაშვილს მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“. განხორციელებული ცვლილება კი გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (ოქმი უნომროა) დაფიქსირებულ ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის დღის (ფასიანი) განყოფილების ყველა კურსდამთვრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ ნატალია ურდულაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში დაფიქსირებულ ყველა დღის სწავლების ფასიანი განყოფილების კურსდამთავრებულზე (იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №..., 14.06.2004) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე,პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე